№ 61 მარტი 20, ოთხშაბათი 1891 მარტი 20, ოთხშაბათი № 61

გაზეთის ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუჩაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ტფილისის საბრეშუმო სადგურის სელულიარული

**აბრეშუმის თესლი**

მისხალი 60 კაპ. და ხელოვნური ფიჩა (სარაჩი), მომზადებული ნ. წერეთლისაგან, გირ. 70 კაპ.

ისყიდება ქუთაისში და ხონში, ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

სათავად - აზნაურო ბანკის თეატრში ოთხშაბათს, 20 მარტს, შესანიშნავის არტისტ ქალის ანნა ჟუდიკის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება:

I

**მეკვერის როიალი**

კომედია-ოპერეტი ერთ მოქმედებად

II

**განქორწინებული**

კომედია-ოპერეტი ერთ მოქმედებად

III

შანსონეტები

IV

**მენახშირენი**

კომედია-ოპერეტი ერთს მოქმედებად

დასაწყისი, 8 საათზედ

## ახალი ამბავი

*** საშუალო აქციზის გარდასახადის გამწერმა დეპუტატებმა შეადგინეს სია ქალაქის მოვაჭრეთა, იმისდა მიხედვით, თუ ვის რამდენი შეაწერეს, და წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. როცა დეპუტატები კარ-და-კარ დადიოდნენ ვაჭრობის გარემოებათა შესატყობლად, რომ ამის შესაფერად გაეწერა თვით გარდასახადიცა, ზოგიერთებმა გამოაცხადეს, აღარ ვვაჭრობთ, დუქანი გვინდა ავალაგოთო, ამისათვის გარდასახადსაც ნუ შეგვაწერთო. დეპუტატებმა ვაჭრები ამოშალეს ხარჯისაგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვალის ახახვევად გამოუცხადებიათ ზოგიერთებს ვითომ დუქანსა ვკეტავთო. ის-კი არა, დეპუტატები თავიდამ მოუშორებიათ, და ვაჭრობა წინანდებულად განუგრძიათ.

ქალაქის გამგეობას აღმოუჩენია ამალლების ქუჩაზედ, რომ ვაჭარს პლატონ ჩხეიძეს გამოუცხადებია 5 მარტს, დუქანი მინდა დავჰკეტოვო, მაგრამ დღესაც-კი ვაჭრობს, და საშუალო აქციზის გარდასახადი-კი არ შემოაქვს, რის გამოც ჩხეიძეს პასუხისგებაში აძლევენ და გარდასახადსაც ახდევინებენ.

*** რუსეთის შიდა-ქალაქებში ხშირად იმართება სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწარმოების გამოფენა. სხვათა შორის წარსულ შემოდგომას პეტერბურგში გამართული იყო პირველი გამოფენა რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებისა, სადაც მონაწილეობა ჩვენის ქვეყნის თანამემამულეთაც მიუღიათ. ამათ შორის ტფილისის მოქალაქეს, ამბარცუმ ენფიანჯიანცს წარუგზავნია პეტერბურგის გამოფენაზედ ხილი, როგორც თავის ბაღისა ლაგოდეხში, აგრეთვე ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხისა; ბაღბის თესლი დ თამბაქო. გამგე კომიტეტს ბ-ნი ენფიანჯიანცი დაუსაჩუქრებია სამის საჩუქრითა: ა) პატარა ოქროს მედლით— მშვენიერის მსხლისა და ვაშლისათვის, ბ) დიდი ვერცხლის მედლით—ბაღბის თესლისათვის და გ) საშუალო ვერცხლის მედლით—ფოთლად დაკეცილ თამბაქოსათვის, რომელიც კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდამ შეუგროვებია ბ ნ ენფიანჯიანცს და წარუდგენია ამ გამოფენაზე

*** ქალბატონ ნიკიტას კონცერტს, 18 მარტს, დიდძალი ხალხი დაესწრო, ისე დიდძალი რომ ტევა აღარ იყო. გასავლელ ადგილებში სკამები იყო ჩაჩხირული და, ასე გასინჯეთ, სცენაზედაც კი ორ რიგად იყო ჩამწკრივებული სკამები და მაყურებელთაგან დაკავებული. გამოვიდა თუ არა სცენაზედ ნიკიტა მომღიმარი და მომცინარი, თეატრში იგრიალა ამ აუარებელის ხალხის ტაშმა და წვიმასავით მიაყარეს ყვავილების კონები. ქ-ნი ნიკიტა ისე ხელოვნურად მღერის, ისეთი სინაზე და სიამე ეტყობა იმის ხმას, რომ მაყურებელს საზოგადოებას მთლად ჰხიბლავს. მომღერალს ქალს ის გარემოება უწყობს კიდევ ხელს, რომ სახით შნოიანია, ახალგაზდა, ცხრიალა და მუდმივ მოცინარ-მომღიმარი. თვით საძნელო სამღერლებსაც რომ ამბობს, მაშინაც-კი მის სანდომიან სახეს ეშმაკური და მომხიბლავი ღიმილი თავს არ ანებებს. ასეთი სითამამე და უდარდობა მაყურებელს იტაცებს და სრულიად ამონავებს.

პროგრამაში გამოცხადებულ სამღერლების გარდა საზოგადოების დაჟინებულის თხოვნის გამო ნიკიტამ ერთი იმდენი კიდევ იმღერა და სრულიად მოიქანცა. სხვათა შორის ლამაზად სთქვა რუსული რომანსი „Соловей". ბევრს უკვირდა, ასე სისწორით როგორ მოახერხა უცხოელისათვის ძნელად გამოსათქმელის რუსულის სიტყვების დასწავლა ზეპირადაო.

დიდის ხელოვნებით შეასრულა ნიკიტამ რომანსი „ეხო". ასე ეგონებოდა კაცს, რომ ნაზი ხმა ადამიანის ყელიდგან-კი არ ამოდის, არამედ მოისმის შორიდამ, რომელისამე კლდის ნაპირალიდამაო. რასაკვირველია ყოველი სამღერის გათავების შემდეგ საზოგადოება განუწყვეტელის ტაშის კვრით აჯილდოვებდა არტისტ-ქალს. როცა კონცერტი გათავდა, აუარებელი ხალხი მიჰყვა იმის ეტლს ლონდონის სასტუმრომდე, სადაც ჩამომხტარია ეს გონების წარმტაცი მომღერალი ქალი.

უკანასკნელი, გამოთხოვების, კონცერტი დანიშნულია ამ თვეის ოცს.

*** გუშინ, 18 მარტს, ქ-ნ ანნა ჟუდიკის წარმოდგენაზე საკმაოდ ბლომად დაესწრო ხალხი, თუმცა ცალიერი ადგილებიც ნაკლებად არ იყო. ითამაშეს „პატარა ბარონესსა (La femme à papa), ოპერეტი სამს მოქმედებად. ოპერეტმა, რომელიც სავსეა მრავალის მოულოდნელობითა, სასაცილო ადგილებითა და ესრედ-წოდებულის „qui pro quo"-თი, მხიარულად ჩაიარა. ა. ჟუდიკის თამაშობამ, მეტადრე მეორე მოქმედებაში, დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. სცენა სიმთვრალისა და სიმთვრალეში სიცილ-ტირილისა საგანგებოდ წარმოადგინა ამ საკვირველმა არ-

---

## ფელეტონი

### საქართველო და მისი ისტორიული წარსული

(შემდეგი. იხ. „ივერია" №№ 37, 38)

თამარის სიკვდილს შემდეგ ყოველივე შეიცვალა, თითქოს თან ჩაეტანოს საფლავში თავის სამშობლოს ბედნიერი დღენი. შემდეგი ორი მეფობა—მისის შვილისა და ქალისა, სავსე შინაურ ამბოხებითა და არევდარევითა—თითქოს წინად მომასწავებელი იყო საშინელის უბედურებისა, რომელმაც მთელი სამეფო გარემოიცვა. თამარის ძის გიორგი (ლაშა) მე-IV უმსგავს მეფობის დროსვე მოწინავე მონგოლთა მხედრობა მოიწევდა საქართველოსკენ და მდინარე ბერდუჯისთან საშინლად დაამარცხა ქართველთა ჯარი, რომელმაც თამარის დროს გამარჯვების მეტი არა იცოდა-რა. თათრებს არა ჰქონდათ ნაბრძანები დაპყრობა საქართველოსი, მძვინვარე რისხვით გაიარეს სამეფოზედ და აზიის მინდვრებში მიეფარნენ. არ გაველო ათმა წელიწადმა, რომ ჩინგიზ-ხანის მემკვიდრემ, გაიუკ-ხანმა, თავის ჯარები მოჰფინა მთელს აზიას და თათრები კვლავ გამოჩნდნენ ბედგაბრუნებულ საქართველოში, რომელიც ის იყო ააოხრეს არაბებმა ჯალალ ედდინის წინამძღოლობით. ღვთის რისხვასავით გადათელეს მონგოლებმა სამეფო და ამავე დროს „მონგოლთა ბარბაროსობის ნიშანს" აჰდევდნენ ყველა კავკასიის ხალხს. გაიუკხანს შეუდგა მემკვიდრედ საშინელი ბათუ, რომელმაც უკვე სრულიად დაიმორჩილა საქართველო: აღწერა ერი და დაადო მძიმე ხარჯი. მონგოლთა შემოსევის უბედურებას [1]) ზედ დაემატა 1259 წ. განაწილება, რომელიც, საუბედუროდ, მონგოლთა თვალთმაქც პოლიტიკით იყო გამოწვეული: საქართველო ორ სამეფოდ გაიყო—ქართლ კახეთისად და იმერეთისად.

მონობამ მალე გამოიღო თვისი ჩვეულებრივი ნაყოფი; როგორც ოდესმე რუსეთშიაც, უვარგისნი მეფენი თავის საგვარეულო ბრძოლას კერძო სარგებლობისთვის ქვეყნის სიკეთეს ანაცვალებდნენ; სამშობლოსთვის თავდადებულნი ქართველნი ხანების თავგასულობისა და თვით მნებებლობისა მსხვერპლნი ხდებოდნენ. ურდოში წამებულთა რუსთა მთავრებისავით დაიღუპა საქართველოს მეფე დიმიტრიც, წოდებული თავდადებულად. ენაკარტალობის ძალით ღალატი შესწამეს და საქართველოს საზღვარზედ მდგომმა არღუნ-ხანმა ქართველთა ჯარის ამოსაჟრელად შეთხზულ მეფის ღალატისა გამო დაიბარა თავისთან დიმიტრი. დიმიტრიმ კარგად იცოდა ხანის განრისხება და უსამართლობა, ამიტომ თავის შეწირვა ამჯობინა, ოღონდ-კი სამშობლო გადაერჩინა საშინელ აოხრებისაგან. რომ უფრო გაეფანტა ხანის ეჭვი, დიმიტრიმ თან წაიყვანა თავისი პატარა შვილი დავითიც. მაგრამ ვერაფერმა ვერ მოულბო გული მტარვალს—დიმიტრი დაპატიმრებულ და თავ-მოკვეთილ იქმნა (1289 წ.). მასთან მყოფმა ქართველებმა აუარებელის ოქროთი მოისყიდეს გვამი წამებულის მეფისა დარაჯთაგან და საიდუმლოდ მოასვენეს მცხეთაში.

ესევე გამოსცადა რუსის ერმაც. ამისათვის „ვერც ერთ ხალხში, რომელნიც-კი ამოეფარნენ რუსთა მთავრობას, ამბობს ერთი მწერალი (ი. დ. პოპკა), რუსი კაცი ვერ ჰპოვებს ისეთს წრფელს და მტკიცე მეგობრობასა, როგორაც ქართველის გულში. რუსეთი და საქართველო ჯერ ისევ იმ უბედურს დროს დამეგობრდნენ, როდესაც თავ-მოდრეკით ეზიდებოდნენ ოქროს ურდოში საურსა (Ясакъ) დ იქ შეხვდებოდნენ ხოლმე ერთი მეორეს. მერე მეგობრობა ასეთს საერთო უბედურების ჟამსა დაწყებული, ხომ მმობასავით ღრმაა და შეუმუსრავი". მონგოლთა ბატონობის უბედურებამ გასტანა გიორგი მე-V (1318—1346-ს) ბრწყინვალედ წოდებულამდე, რომელმაც მოაგონა საქართველოს ჟამნი საუკეთესო გვირგვინოსანთანი. გიორგის უპირველესი საქმე ოსების დასჯა იყო, იმ ოსებისა, რომელნიც სარგებლობდნენ სამეფოს უბედურებით და არ ასვენებდნენ: შემოესეოდნენ ხოლმე თათართა მტარვალობის ნასუფრალს და ულებდნენ ბოლოს. გიორგიმ ხარჯი დაადო. შემდეგ კარგად იგრძნო დაუძლურება მონგოლთა სამეფოსა რამდენსამე ნაწილად ქცევის გამო, თამამად აიღო ხელში იარაღი და საქართველოს საზღვრებიდგან გააძევა თათრები. ამასობაში იმერეთის ტახტის უძლურ მეძიებელთა შორის ბრძოლამ აფიქრებინა მეორე დიდის საქმის შესრულება. იცოდა, რომ ქვეყნის ძლიერება ერთობაზედ არის დამოკიდებულიო, ისარგებლა კარგის შემთხვევით, თავის სამეფოს იმერეთიც შემოუერთა და მთელის ივერიის მეფე შეიქმნა. გიორგი მე-V და იმის მემკვიდრეთა მეფობის ჟამს იკურნებდა თავისს იარა-წყლულს სამეფო, ნანგრევთაგან ქალაქნი აღემართნენ, ტაძარ-ეკკლესიანი და ციხე სიმაგრენი განახლდნენ. ეგონებოდათ მრავალვნებულ საქართველოს მშვიდობიანობის, დასვენების დრო დაუდგა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ძალა და ღონე მოეკრიფა ახალ უბედურებათა გამოსაცდელად. მონგოლთა შემოსევაზედ უარესი მოელოდდა ამ ქვეყანას: თემურლანგი გამოჩნდა შიშით მთრთოლვარე აზიის ცის კიდურზედ, გიორგი ბრწყინვალის შვილის შვილის, ბაგრატ დიდის დროს, რომელმაც 25 წ. უკვე სვე-ბედიანად იმეფა, საშინელი გრიგალი მოაწვა საქართველოს. მაგრამ სამეფოთა მრისხანე მპყრობელს აქ ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს, როგორიც თვით მონგოლების მემატიანეთა სიტყვით, ფრიად შეძლებულ სახელმწიფოთა აოხრების დროსაც არ გაუწევიათ—ჩინეთსა, ქაბულ ბუხარსა და სპარსეთში. თემურლანგი შემოესია საქართველოს 1387 წელს ყარსის მხრით, ანგრევდა ციხეებს, არც ერთ კოშკს არა სტოვებდა; მის ძლევა-მოსილობის კვალი აღნიშნული იყო ცეცხლის კვამლით, ნანგრევებით, მკვდართა გორებით, ათასთა თავთაგან აღშენებულ სანგლებით. მეფე ბაგრატმა მინდვრად ბრძოლა ვერ გაბედა ძლიერ მტერთან და ტფილისის ციხეში გამაგრდა. ექვს თთვეს დიდის სიმხნით გაუმაგრდნენ ალყად შემორტყმულს მტერს. მაგრამ ძალამ მაინც აჯობა ვაჟკაცობას: მეფე ტყვედ ჩაუვარდა თემურლანგს ხელში. ტფილისში დაამყოფა თვისი ჯარი, გასწია ყარაბაღს და თან მიჰყავდა ტყვენი და დავლა ფანჯრიაქის ქარავნები. ყარაბაღიდამ ხელ-მეორედ გამოუსია მხედრობა ქართლსა და უბრძანა „არავინ და არაფერი დაუზო-

[1]) იხ. Кавказск. война 223—230 გვ.

ტისტმა ქალმა. ტყუილად არ დაუწერიათ ეს ოპერეტი ავტორებს განგებ მარტო ამ არტისტ-ქალისათვის. სიმღერას, რომელიც იმ ღამეს ამბობდა ქუდიკი, ხომ ჩვენი ქება არ უნდა. ამისთანა სიმღერებში ამ არტისტ-ქალს ვგონებთ ბადალი არა ჰყავს და პარიჟელებიც ტყუილად არ უწოდებენ მას საოპერეტო სასიმღეროთა დედოფალს. ერთის სიტყვით, ამ პიესაში ქუდიკს ისეთი სათამაშო და სასიმღეროები აქვს, რომ ვისაც უნდა მისის ნიჭისა და საარტისტო უნარის გაგება, სხვათა შორის, უთუოდ ამ პიესაშიაც უნდა ჰნახოს.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ჩვენმა ქალაქის ახალმა საბჭომ ნიხრი-კი შემოიღო, მაგრამ მით, ვგონებთ, საქმეს არა ეშველა-რა. ყასპებმაცა და ხაბაზ-მეფურნეებმაც მალე მოახერხეს ამ ნიხრის შემოღების სიკეთე გაექარწყლებინათ. მეორე დღესვე იმ ხორცს, რომელსაც წინად 9 კაპ. ჰყიდდნენ, რაკი ნიხრად 8 კაპ. დაწესდა, თვალითაც ველარ ჰნახავდით მათ დუქნებში. მეფურნეები, რომელნიც მშვენიერს პურს ჰყიდდნენ გირვანქას $3\frac{1}{2}$-ად, ან $2\frac{1}{2}$-ად ნიხრის შემოღებამდე, ნიხრის დაწესების შემდეგ ასე მოიქცნენ: სამ-კაპიკ-ნახევრიანი პური ცოტა გააუკეთესეს და პირველ ხარისხის პურად ჰყიდიან 4 კაპ., ხოლო $2\frac{1}{2}$-იანი მშვენიერი პური ისეთი გახადეს, რომ ორ გროშადაც აღარა ჰღირს: გადურიეს სიმინდის ფქვილი, თუ სხვა მდარე ფქვილი და ისე აცხობენ. ამ სახით სიკეთის მაგიერ, ნიხრმა ზარალი მოგვიტანა. თუ აქამდე $3\frac{1}{2}$ კაპეიკად, $2\frac{1}{2}$ კაპეიკად ძალიან კარგს პურს ვყიდულობდით, ახლა იძულებულნი ვართ ვიყიდოთ 4 კაპეკიანი პური, რადგან ამაზე დაბალ ფასიანი, წინად მშვენიერი და გემრიელი, ახლა ისეთია, რომ ძაღლს არ ეჭმევა. ამას გარდა ნიხრის შემოღების შემდეგ ძალიან დაეტყო პურსაცა და ხორცსაც, რომ მდარეა ღირსებით, ხორცი ნაყარ-ნუყარია და პური კიდევ—უსუფთაოდ მოზელილი, უწმინდურად გამოცხობილი, ან სულ გამოუმცხვარი ცომი.

*** **რაჭა:** ისე წელიწადი არ გაივლის ჩვენს კუთხეულს მაზრაში, რომ ავმა კაცებმა რამდენიმე ადამიანი არ აჰკუწონ ხანჯლებით, არ გაუხვრიტონ გული თოფ-დამბაჩის ტყვით და არ გამოასალმონ საუკუნოდ ამ წუთის სოფელს. ერთმანეთის ცემა-ტყეპა და თავ-პირის მტვრევა ხომ ყოველ დღიური ამბავი გახლავთ. ამასაც აღარ ჰკმარობენ ზნეობის უარის მყოფელნი რაინდები და ეხლა იწყეს კიდევ უარესი მტაცებლობა.

ამას წინად სოფელს ბუგეულში მცხოვრებს მღვ. დავით გეორგობიანს დაესხნენ თავს ღამის რაინდები, იმ დროს როდესაც პატივცემული მღვდელი მარტოდ მარტო იყო თავის ცოლ-შვილით. ამ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მეტად ცუდი სტუმრობა გაუწიეს სალოდავს მღვდელს: ჩაიგდეს ხელში, დაიჭირეს და მიაყენეს უკიდურესი შეიწროება—ცოლ-შვილი დაუწიოკეს, სახლში რაც რამე მოეპოვებოდა, ყველაფერი წაართვეს. ამბობენ, კარგა ბლომად ჰქონდა ფული სულიერს მამასაო. საბრალო მღვდელი ისე ფულის დაკარგვას არა ნაღვლობდა, როგორც ცოლ-შვილის მდგომარეობას. შიშისაგან თავ-ზარდაცემის გამო სახლობა ავად გაუხდა. ამბობენ, მღვდელს უნდა ეცნო თავისი მტარვალებიო, მაგრამ გამხელასაც ვერა ჰბედავს თურმე იმ მიზეზით, რომ შემდეგ უარესს მიზმენ, მომკლენო.

*** **იქიდამვე:** არ მოესწრებიათ ამისთანა ზამთარს: შუა ზამთრის თვეებმა—იანვარმა და თებერვალმა—ისეთის დარებით და მშვენიერის ამინდებით გაიარა, რომ საკმაოდ მოხუცებულები ამბობენ, არ გვახსოვს ამისთანა შემთხვევაო. მარტიც მშვენიერი დაგვიდგა, თუ თავისებურად არ მოიგიჟმაჟა, თავი და კუდი არ მოიქნია ბოლოს. ბუნებამ გაიღვიძა, ამწვანდა მთა და ველი. მცენარეთა იწყეს კუკურის გამოღება. მღარულებიც, როგორც სჩვევია ამ გვარ ხმელ ზამთარს, ისე არა ყოფილა გავრცელებული წელს ჩვენში. მხოლოდ აქა იქ იჩინა თავი. მაგალითად, ღებსა და ჭიორაში თავი ფერდის ავადმყოფობას, რომელსაც უმსხვერპლია რამდენიმე სული. ტოლაში იჩინა თავი ყვავილმა, დააზარალა მხოლოდ ერთი მოსახლე გლეხი, რომელსაც მოუკლა სამი სული. ბატონებმა ეს მსხვერპლი იკმარეს. სხვაგან არავითარი ზარალი არა მოუხდენია-რა.

*** **სოფ. მოდითი** (შორაპნის მაზრა): ჩვენსკენ წელს კარგი ზამთარი იყო, ახლა გაზაფხულია გაჩაღებული. შემოდგომიდამ, სამწუხაროდ, ჩვენში საქონლის ჭირმა დაიბუდა და რამდენიმე სული კიდეც იმსხვერპლა. სიკვდილი ხალხისა არ იყო თითქმის სრულებით. მხოლოდ ორი წვრილშვილი გამოასალმა წუთი სოფელს, მაგრამ, აქაც იმდენად ავადმყოფობა არ იყო დამნაშავე, როგორც ჩვენი დაუდევრობა და უზრუნველობა. ჩვენს ზედათუბნის საზოგადოებაში არც ექიმია სადმე, არც ფერშალი და არც ნასწავლი ბებია ქალი. რომ იყოს ვინმე მოთავე, საზოგადოება ადვილად შეიძლებდა ერთის ფერშლისა, და ბებია-ქალის ყოლას და მათთვის ჯამაგირის ძლევას, და მით აიცილებდა თავიდამ ხშირად სულ უბრალო მიზეზით ძვირფასის ადამიანის სიკვდილსა, მაგრამ სად არის გულ შემატკივარი და მოთავე კაცი.

*** **სოფ. ნებოძირი** (საბაშიო): ამ სამის წლის წინად ნებოძირში ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი გაჰმართა აქაურმა მღვდელმა, თავის საკუთარს შენობაში. მოსწავლე ბავშვები, რიცხვით ოც-და-ათამდე, რიგიანად დადიოდნენ და ჩინებულად ჰსწავლობდნენ, მაგრამ სასწავლებელი ერთის წლის შემდეგ ხსენებულმა მოძღვარმა დაჰკეტა. წრეულს, როგორც გავიგეთ, ზემოხსენებული გაუქმებული სამრევლო სკოლა კვლავ გაუმართავთ. სკოლისათვის სახლი დაუთმია უფასოდ ა. ი. გ—ნს, რომლის შვილმა გორის სამოქალაქო სასწავლებელში „კურს" დამთავრებულმა მასწავლებლობა იტვირთა. სასწავლებელში ამ ჟამად ოცი მოწაფე სწავლობს.

*** **სოფ. ზემო-ჭალა** (საბაშიო): აქაურმა მოძღვარმა რიგიანად გააკეთა ზემო-ჭალის საყდრის ეზო-გალავანი თავის ხარჯით. ამ ეკკლესიის ეზო დღემდე გაღნიოშებული და შეულობავი იყო. შინაური ოთხ-ფეხი დაიარებოდა. ახლა-კი მღვდელს ფიცრებით შეუზღუდავს ეს გალავანი, გაუშენებია შიგ სხვა-და-სხვა ჯიშის ხეხილი და ხეხილ ქვეშ დაუთესნია სხვა-და-სხვა გვარი სურნელოვანი ყვავილები. იგივე მღვდელი თავის ხარჯით აკეთებს ეკკლესიის გვერდით ქვითკირის სამრეკლოს...

როგორც გვითხრეს, იმავე მღვდლის მეცადინეობით კეთდება ახალი ეკკლესია ს. ხაშურში, რომლის აშენების მეთვალ-ყურედ სოფელს „კომიტეტი" დაუწესებია. ამ „კომიტეტის" ზედამხედველად სოფელს ზემოხსენებული მოძღვარი დაუყენებია, რომელმაც თავის ხარჯით დახატვინა „პლანი" ეკკლესიის ასაშენებლად და წარადგინა დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არის.

*** ტფილისში დაარსებულ ღამის გასათევ თავ-შესაფარს შემოსწირეს: მკურნალმა ი. ბ. გასპარიანცმა 20 მან., გ. რადლემ 30 მან., თავ. ა. ი. არგუთინსკი-დოლგორუკოვმა 10 მან., ა. ნ. დომატევიჩმა 10 მან., თავ. ი. გ. ა. 25 მან., იტალიის ბალის პატრონმა 6 მან., დ. ზ. სელეპანოვმა 8 მ. სულ 109 მან., ამიანად შეხდგა 1368 მან.

*** 16 მარტს, ღამით, ლეარსაბის ქუჩაზე ელისაბედ ვაშაკიძეს სახლი გაუტეხეს და წაიღეს 66 მან. ღირებული 5 ბალიში და 4 საბანი. ქურდობა დაჰბრალდა არტემ გლახიანცს, რომელიც შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

*** ამავე დღეს მარიამ აქიმოვისამ იპოვნა ნავთლუღში წყლისაგან გამორიყული დამრჩვალი ბავშვის გვამი და თავის ეზოშივე დამარხა. ეს ამბავი გამომძიებელს აცნობეს.

*** 17 მარტს, პოლიციის მეოთხე ნაწილში შადინოვის სახლში ქურივს ანნა შვარცს მოჰპარეს 47 მანეთის ოქრო-ვერცხლეულობა. ქურდობა თავისსავე მზარეულს ოჰანეზა გულიევს დააბრალა. გულიევი შეიპყრეს.

*** ამავე დღეს იმავე პოლიციის ნაწილში მცხოვრებელმა კნ. ელისაბედ ზებეთოვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 15 ამ თვისას მომპარეს ბრილიანტის გულის ქინძისთავი. ეჭვი მიიტანა მასთან მოახლედ ნამყოფს მარიამ აბრამოვისაზე. აბრამოვისა შეიპყრეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ჩვენს ქალაქს ამ ჟამად უთაობის, თუ უთავრობის ხანა დაუდგა. ბ-ნმა იზმაილოვმა იყარა კენჭი, მაგრამ ხმოსნებმა არ მოისურვეს მისი თავად ყოფნა და ერთის ხმის უმეტესობით უარ-ჰყვეს. ახალი არჩევანი ერთის კვირის შემდეგ არის დანიშნული, ხარებისათვის, და ჯერ-ჯერობით კანდიდატებზედ კი არავითარი ხმა არ ისმის. ამბობენ მხოლოდ, რომ ბ-ნი იზმაილოვი კვლავ აპირებს კენჭის ყრას ამ თანამდებობაზეო. აქაური გაზეთები დიდი წინააღმდეგნი არიან, ერთხელ გაშავებულის ხელმეორედ ამორჩევა არაფერი საკადრისიაო, და თითქმის დღე ყოველ ამ მომავალ არჩევნების შესახებ ბაასობენ და ჰქლაპარაკობენ. აი რაცა სწერს სომხური გაზ. „არძაგანკი":

საბჭომ 11 მარტის კრებაზედ დაადგინა, ბოლოს მოუღოთ

---

გათ და ყველაფერი შეემუსრათ". ვიდრე თათარნი ასრულებდნენ თავის მბრძანებელის ბრძანებას, თემურლანგმა ცეცხლითა და მახვილით გაილაშქრა დაღისტანში და კავკასიის ძირობაზედ დაასახლა თათრის ელები, რომ მათის გავლენით მორჩილებაში ემყოფებინა ვრცელი მხარე. იმ დროიდან—იწყო დავითისა და თამარისაგან ისე მშვენიერად დამყარებულ-დანერგულმა ქრისტიანობამ მისუსტება და ქრობა.

ტყვეობითგან თავ-დასახსნელად ბაგრატმა განგებ მიიღო თათრის რჯული, აღუთქვა თემურლანგს მთელის სამეფოს გათათრება და ამისათვის ჯარიც გამოსთხოვა. გახარებულმა თემურლანგმა საჩუქრებით აავსო მეფე და თორმეტის ათასის ჯარით გამოისტუმრა. საიდუმლო პაემანისამებრ ბაგრატსა და მის შვილს შორის, ეს ჯარი სრულიად აღწყვეტილ იქმნა ბერდუჯის ნაპირებზედ. მაშინ გაცოფებული თემურლანგი თვით დაიძრა აურაცხელის ჯარით საქართველოსაკენ. ტფილისის მახლობლად საშინელი სისხლის ღვრა მოხდა, რომელმაც ინაცვალა მეხუთედი თემურლანგის ჯარისა, მაგრამ ქართველებმა მაინც არ შეეძლოთ პირდაპირ ებრძოლათ და მთებში გაიხიზნენ. ბაგრატი მალე გარდაიცვალა, მაგრამ მისმა მემკვიდრემ, გიორგიმ მე-VII, თავ-გამოდებით განაგრძო ბრძოლა. თემურლანგი რამდენჯერმე კიდევ დაესხა თავს საქართველოს, მაგრამ დამორჩილებით სრულიად მაინც ვერ დაიმორჩილა—ქართველნი იხიზნებოდნენ მთებში და ხვთარეშო, წვრილმანის ბრძოლით არ ასვენებდნენ თათრებს, სურსათსა და ნადავლს სტაცებდნენ. ბოლოს თემურლანგის ერთის მეგობარის შუამდგომობით გიორგი შეურიგდა მრისხანე მტერს მცირე ხარჯის თავსდებით.

თემურლანგის შემოსევის წყალობით სამეფო დიდად იყო აოხრებული. მაშინ იქმნა შემუსრვილ მცხეთის საკათალიკოსო ტაძარიც და სხვა მრავალი ეკკლესია მას აქეთ ვერ ეღირსა ნანგრევთაგან განახლებას.

ვინ რა იყო თემურლანგი დამორჩილებულ ხალხთათვის, ამას გვამცნებს გარდმოცემანი და მისის შემოსევის კვალი კავკასიაში. ზაქათალიდგან ორ ვერსზედ, მუღამლის ფონის მხრივ, გზის მახლობლად მარცხნივ დახროვებულია შაქრის-თავივით ქვის ყორე, რომელსაც რამდენიმე თუთის ხე უჩრდილებს. ეს არის ნიშანი იმ ხალხთა საშინელ გაჟლეტისა, რომელთაც ვერ მოასწრეს მთაში გახიზვნა. თემურლანგსა ჩვეულებად ჰქონდა, როცა, რომელსამე ქვეყნის მხოვრებთ ამოაჟლეტინებდა, მოაგროვებინებდა ერთ ალაგას ხოლმე დახოცილთა თავებს და მათის რაოდენობით ჰზომავდა თავის ძლიერებასა და მეფურ დიდებასა. იმ დროსაც დახოცილთა თავები დააწყობინა შაქრის თავივით იქ, სადაც ახლა ის ქვის ყორეა, და ამ ალაგს ხალხი დღემდე ბაშ-კალას უწოდებს, ე. ი. კოშკს, კაცთა თავებით აგებულს.

მოზრდილთ ჰხოცავდა თემურლანგი და არც მცირეწლოვანთა ჰხოგავდა. ერთხელ უბრძანა, გადაებათ და დაელაგებინათ ძუძუ-მწოვარა ბავშვები ისე, როგორც ძნას ჩაშლიან ხოლმე კალოში; შემდეგ ზედ გადაატარებინა მოკოხილი კევრები და ისე ბარბაროსულად ამოაწყვეტინა საცოდავი ბავშვები. ამ მხეცურმა საქციელმა თემურლანგისამ ლეკებშიაც-კი შეჰქმნა ანდაზა: „შენც ისე უნდა გიყონ, როგორც თემური აკეთებდა სახირმანსაო (ნაკადულის) [2]. დამსწრენი ამბობენ, რომელიღაც ქალაქის მცხოვრებთ გაარისხეს თემურლანგი და შემდეგ-კი სამტროდ მომავალს გამოაგებეს შეწყალებისა და მომადლიერეპისათვის პატარა ბავშვები, რომელნიც ყორანიდგან საგალობლებს გალობდნენ. იმათის დანახვაზედ თემურლანგს აუკაწკაწდა ხოცვა-ჟლეტის მადა. ცხენდაცხენ გაქანდა მათკენ და უბრძანა ცხენოსან ჯარს, მომყევითო. ქალაქის კედლებიდან მცქერალნი უბედურნი მშობელნი ძოწამენი შეიქმნნენ თავის შვილთა შეუბრალებლივ გაჟლეტისა მტრის ცხენების ჩლიქებით.

[2] რასაკვირველია, ნაკადული ვაჟებისა და ცრემლთა დენისა.

პ. ცხვ.

ტყუილად არ დაიმსახურა თემურლანგმა აღმოსავლეთში საშინელი სახელი და მის დაბადებას ტყუილად არ ატმასნებენ შემდეგ თავ-ზარის დამცემს ლეგენდას. ეს ლეგენდა მოგვითხრობს, რომ, როცა პატარა თემური დაიბადა, ხელში შედედებული სისხლი ეპირა და თოვლივით სპეტაკი თმა ჰქონდაო.

თემურლანგს შემდეგ ჯერ გიორგი და მერე მისი ძმა კონსტანტინე ამაოდ სცდილობდნე სამეფოს ფეხზე წამოყენებასა; კონსტანტინე კიდეც შეებრძოლა ოსმალთა, რომელთაგან ტყვედ იქმნა შეპყრობილი და შეუბრალებლად წამებული. მისი გვამი დასაფლავებულია თამარის მიერ აშენებულ ვარძიის მღვიმის ტაძარში და ეს საფლავი ბევრს თამარისად ჰგონია.

კონსტანტინეს ძის ალექსანდრეს I-ის მეფობის დროს (1414—1442) ხელ-ახლად აღფრთოვანდა სასიქადულო სული საქართველოს ძველ მეფეებისა. მტრებზედ ძლევა-მოსილმა ალექსანდრემ ბევრი ჰმატა სამეფოსა და ბევრი იზრუნა ერის განათლებისათვის. ამანვე განაახლა მცხეთის საკათალიკოზო ტაძარიც. უკანასკნელ ხანში ზრუნვათაგან დამაშვრალმან ალექსანდრემ შეიმოსა ბერობა, განეშორა სოფლის მღელვარებასა, ხოლო ტახტი მეფობისა გადასცა თავის შვილს ვახტანგ მე-IV. არ ვიცით, რომელმა მონასტერმა შეიფარა სამეფო მოღვაწე. დავით გარესჯის უდაბნოში გვაჩვენებენ მეფე-ბერის ალექსანდრეს საფლავსა [3], მაგრამ მცხეთის ტაძრის სიგელებში-კი სწერია: „მდაბალმა მეფე ალექსანდრემ აღაშენა თავისთვის სასაფლაოდ სამხრო, ვერ თავს-მდებელმა დასაფლავებად თვის მიერ განახლებულ ტაძარში."

სამის წლის შემდეგ ალექსანდრე მიიცვალა, მალე გაჰყვა თან მისი ძე ვახტანგიც და საქართველო დაობლდა. აქ იწყობა ხანა იმ უბედურებათა-კი არა, რომელნიც აღზრდიან სულს ერთობისა და სამშობლოს სი-

[3] დავით გარესჯის უდაბნოში დიდ-მარხვას ყოველთვის ატარებდა მეფე კახეთისა ალექსანდრე, ლეონისძე (1574—1605) თვინათინ დედოფლითურთ, რომელიც ამილახვარის ბარძიმის ასული იყო. დღესაც მთლად არის ამ უდაბნოში „მეფე ალექსანდრეს კოშკი," უყურადღებოდ დატოვებული ქართველთაგან: იგი ემპირფასესი ნაშთია ძველი საქართველოს დროისა. იქ სცხოვრობდა მეფე ალექსანდრე დედოფლით. კოშკი ორ-სართულიანია და საჭიროა მისი კარგად დაცვა.

პ. ცხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს უთაოსას იმ დღეს, როცა რუსები და ქართველები ერთად წმ. ღვთის-მშობლის ხარებასა დღესასწაულობენო.

მაგრამ მოხდება-კი არჩევანი 25 მარტს, იპოვნიან ისეთს კაცს, რომ მველის დედა-ქალაქის წარმომადგენლის მძიმე ჯაჭვის ტარების ღირსად სცნონ? ამ საკითხს, თუმცა საოცარია, მაინც თუ გადასწყვეტს ტფილისში ვინმე, ერთად-ერთი კაცი გადასწყვეტს და ეს კაცი—ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი იზმაილოვია. მან უკვე გამოაცხადა საჯაროდ, რომ თუ ვინმე იყრის კენჭს, მეც იმასთან ვიყრი და თითონ კენჭს ჩამიგდებენ: 1) ყველა მველის წეს-რიგის მომხრენი ბ-ნ მატინოვის წინამძღოლობით; 2) ყველა ისინი, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ კარგი სუფლიორი ყოველთვის გასწევს მუთაონა ღირსების არტისტის მაგიერობასაო, და 3) ის თავ-მოყვარე ხმოსანნი, რომელნიც ასე ჰფიქრობენ: „რაკი მე არ მირჩევენ, დევ მოადგილედ მყოფი ამოირჩიონ, ამით ჩემი თავ-მოყვარეობა მაინც არ იქმნება შეურაცხყოფილი, ის თავ-მოყვარეობა, რომელსაც არაფრად ეჭაშნიკება უცხო კაცის ამორჩევაო“. და აი კიდეც ამისთვის არც ერთი ღირსეული კანდიდატი, რომელიც, ერთის ხმით-კი არა, რამდენისამე ხმის უმეტესობით უნდა არჩეულ იქმნეს, ვერ გაჰბედავს და კენჭს ვერ იყრის.

საბჭომ უკვე კენჭის ყრით უარჰყო და არ ინდომა ბ-ნი იზმაილოვი ტფილისის თავად, მაგრამ ბ-ნს მატინოვს, ამ დიდს მომხრეს თავისის ხელ-ქვეითისას, ჰგონია, რომ საბჭოში პაწია ბალღები სხედან და შეიძლება კაცმა დაიყოლიოს, დღეს ის ჩაადენინოს, რაც გუშინ თითონვე არ უნდოდათ. პატივცემულს ბ-ნს მატინოვს ავიწყდება, რომ, რაკი ქალაქის წარმომადგენლობისაგან ისკუპა და „მმ. ფითოევისა და ამხ.“ წარმომადგენლობაზედ გადასკუპდა, ფეხ-ქვეშ ნიადაგი დაჰკარგა, იმის სიტყვას უწინდელი ძალა აღარა აქვს და ყველანი დაცინვის ღიმილით ესმენ...

საზოგადოდ, ბ-ნ იზმაილოვის დასი ვერაფერს სიკეთეს უშვრება თავისს მეთაურს. ეს დასი იარაღად მისს ჰხმარობს, იმ იარაღს, რომელიც დიდი ხნის დაბლაგვდა და რომლის ხმარება თვით ბ-ნ იზმაილოვსაც არაფრად მოსწონს... ბ-ნ იზმაილოვის დასი დიდად ბეცია და არა-შორს მხედველი. მართლაც ამ დასის მეთაური საარჩევანო ბრძოლის ანბანიც რომ იცოდნენ, განა ბოლომდის მიჰყოფდნენ საქმის კეთებას ხელს და ჯერ არ ეცდებოდნენ, ერთი-ერთმანეთზედ გაუშავებინათ სხვა კანდიდატები, ან იმდენის ხმის უმეტესობით ამოერჩიათ, რომ ასე ამორჩეულთ არ ეკისრათ თავად ყოფნა? მაშინ, ოო მაშინ მოღლილ-მოქანცული საბჭო თვითვე მიჰმართავდა ბ-ნ იზმაილოვს. დიახ, იზმაილ ფაშამ, გამოაცხადა რა პირველადვე თავისი კანდიდატობა და არ იქმნა ამორჩეული, ალბად დამარცხებულმა ტალეირანსავით წამოიძახა: C'ètait plus qu'un crime, c'était une faute! (ეს დანაშაულზედ უარესი დამემართა, შეცდომა მომივიდაო!)

ჩვენის აზრით, ეს საგანი თავისდა თავად არც ისეთი თავ-სამტვრევი საგანია. ხმოსნები თავისთვის რომ ირჩევდნენ თავს, მაშინ იქნება საუკეთესო კანდიდატად ბ-ნი იზმაილოვი ყოფილიყო: როგორც კარგი მოცურავე—დიდის ოსტატობით დაიჭერდა თავს ტალღათა შუა, და ქარიშხალისა და ღელვა-ბობოქრობის დროს კი ეს უნარი დიდი უნარია. საქმე ის არის, რომ ხმოსნებმა თავი ტფილისისათვის უნდა ამოირჩიონ, ხოლო ამისათვის-კი დიდს უმეტესობას საბჭოსას ბ-ნი იზმაილოვი გამოსადეგ კაცად არ მიაჩნია, რადგან არა აქვს ისეთი ღირსებანი, რომლის არ-ქონაც საზოგადოდ არავისათვის და განსაკუთრებით თვით ბ-ნ იზმაილოვისათვის შეურაცხებად ჩასათვლელი არ არის.

ჩვენ მეტად კარგად ვიცნობთ ბ-ნ იზმაილოვს და ამიტომ ფიქრადაც არ გვაიტარებთ, ვითომ ქალაქის თავის თანამდებობა დიდად საწადელი იყოს და ვითომ ამორჩევა იმისს თავ-მოყვარეობასა და პატივის-მოყვარეობას დააკმაყოფილებდეს.

ჩვენის აზრით, ამ ჟამად ბ-ნი იზმაილოვი მოვალეა დაამტკიცოს, რომ უწინდელს წეს-რიგს ბევრი ნაკლი ჰქონდა და დიდი ნაკლიც, მაგრამ ამ წეს-რიგის მეთაურნი მაინც არც ძალსა და არც ღონეს არ იშურებდნენ საქმის უკეთესად წასამართავად, მან უნდა დაამტკიცოს, რომ უწინდელი წინამძღოლნი თუ სცდებოდნენ, განზრახ არ სცდებოდნენ, პატიოსნად იქცეოდნენ, ერთის სიტყვით, წარსულს ნაცილი უნდა აცილოს.

ამ გვარად, წინასწარმეტყველიც რომ არ ვიყოთ, მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ 25 მარტს ბ-ნმა იზმაილოვმა კენჭი იყარა, ქალაქი კვლავ უთაოდ დარჩება, ხოლო თუ უარი სთქვა, ღირსეულს კაცს ამოირჩევენ. Sapienti sat!

ვნახოთ, იყრის კენჭს ბ-ნი იზმაილოვი და ძალის-ძალათი თავობას ინდომებს, თუ გაზ. „არძაგანკის“ რჩევას შეისმენს და ამ თავითვე გამარჯვებას ირჩევს, გამარჯვებას არა-მტკიცეს, არა-დიდხნიერს, არა-მშვიდობიანს...

## რუსეთი

ჩვენმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ სკუბლინსკის ქალის საქმე, რომელსაც ბავშვების ხოცვა ხელობად ჰქონდა გადაქცეული. ეს სასტიკი და ადამიანობაზე ხელ-აღებული ქალი აიყვანდა ბავშვებს აღსაზრდელად და შემდეგ სიმშილით მოუღებდა ბოლოს. სკუბლინსკის ქალზე უფრო სასტიკი და შეუბრალებელის ცოლ-ქმრის საქმე გაარჩია ამას წინად მინსკის ოლქის სასამართლომ. ეს ცოლ-ქმარნი ებრაელებია, გვარად შულკინები. იმათი საქმე რამდენიმე წლის განმავლობაში ბავშვების ხოცვა ყოფილა. აიყვანდნენ ბავშვებს, გამოართმევდნენ ბავშვის დედას 25 ან 30 მანეთს და მაშინვე შეუდგებოდნენ ბავშვის მოკვლის საქმეს. საკვირველი ისაა, რომ ისინი მხოლოდ ამ პირობით იყვანდნენ ბავშვებს ე. ი. გასაზრდელად-კი არა, არამედ სასიკვდილოდ. როცა არაქათ გამოლეულნი ბავშვები კვდებოდნენ, შულკინები შუაღამისას წაიღებდნენ ებრაელთა სასაფლაოზე და იქ მარხავდნენ უკუბოოდ და უტანისამოსოთ. ამასაც ხომ არ სჯერდებოდნენ ხშირად ორსა და სამს მარხავდნენ ერთად. ეს ყველაფერი გამოძიებამ აღმოაჩინა. მთავრობის განკარგულებით რამდენისამე ბავშვის გვამი კიდევაც გასჭრეს მკურნალებმა და სრულიად დაამტკიცეს, რომ საბრალო ბავშვები სიმშილით იყვნენ დახოცილნი. ოლქის სასამართლომ შულკინებს ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა გადაუწყვიტა: ქმარი 12 წლით გაჰგზავნა კატორგაში და ცოლი 15 წლითა.

— გამოცხადებულია წესები, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ რკინის გზის სადგურთა გამგენი და მატარებლით მოგზაურნი. ამ წესის ძალით ყველა რკინის გზის სადგური უნდა გააღონ ორი საათით ადრე მატარებლის მოსვლისა და უნდა დაჰკეტონ ერთის საათის შემდეგ მატარებლის წასვლისა. როცა სადგურს დაჰკეტავენ, იქ გაჩერება მხოლოდ იმ მგზავრთ შეუძლიანთ, რომელნიც როგორმე მატარებელში ვერ მოჰყოლიან და ან დაგვიანებულან. თუ სადგური ქალაქთან მოშორებულია, რიგიანად ჩაცმულს მესამე კლასით მოგზაურს შეუძლია პირველი კლასის ბუფეტში შევიდეს. მატარებელში ყოფნა აღეკრძალება ერთის ვაგონიდამ მეორეში გადასვლა, მანდილოსანთ ოთახებში შესვლა, თუნდაც ეს ოთახები ცარიელი იყოს, და ტანისამოსის გახდა.

— ამ უკანასკნელს ხანებში პოლშიდამ ბრაზილიაში გადასახლება თანდათან გახშირდა. რომ ამ უსიამოვნო ამბის წინააღმდეგ რაიმე ღონე იღონონ, შეუდგენიათ პროექტი და საჭიროდ დაუნახავთ, რამდენიმე გადასახლებული ისევ მოიყვანონ ბრაზილიიდამ. ეს იმიტომ, რომ ისინი უფრო დააჯერებენ და დაარწმუნებენ გადასახლების მსურველთ თუ რა გაჭირება და უბედურება მოელისთ ბრაზილიაში. ეს კარგი საქმეაო,—ამბობს ამის გამო „Недѣля“,—მაგრამ ამ სატკივარს ეს წამალი მაინც არ უშველის, თუ სხვა უებარი წამალი არ აღმოაჩინესო. უებარ წამლად „Недѣля“-ს გადასახლების მსურველთ ყოფა-მდგომარეობის განკარგება და გაუმჯობესება მიაჩნია.

## წვრილი ამბები

რკინის გზით მოგზაურობა მარგებელია. „Вѣстникъ Общ. Гигіены“ მოგვითხრობს ერთის საზღვარ გარეთულის მკურნალის აზრს, რომ ხანგრძლივი მოგზაურობა რკინის გზაზე ძალიან რგებს იმათ, ვინც სუსტის აგებულებისა არიანო.

ჰიპნოტიზმი მშობიარობის დროს. გაზეთი „Врачъ“-ი ამბობს, რომ უცხო ქვეყნის მკურნალთ ჰიპნოტიზმის ძალა მშობიარობის დროს გამოუყენებიათ. 14 წლის მშობიარე ქალი დაუძინებიათ ჰიპნოტიზმით, რასაც სასურველი შედეგი მოჰყოლია. მშობიარე ისე განთავისუფლებულა მშობიარობისაგან, რომ ტკივილი სრულიად არ უგრძვნია.

ემილ ზოლას ახალი რომანი „L'Argent“ (ფული) დაიბეჭდა თუ არა, იმავე დღეს 72,000 ცალი გაიყიდა.

ახირებული შემთხვევა. ამ ხანად

---

ყვარულისას; უცხო ტომთა შემოსევისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისა კი არა, არამედ ხანა განყოფისა, განაწილებისა, მეფეთა შეჯიბრებისა, ქიშპობისა და ურთიერთ შორის სისხლის მღვრელობისა. ათი წელიწადიც არ გავიდა, რომ ალექსანდრეს მეორე შვილს გიორგი მე-VIII წინააღმდეგ აჯანყდა ერი და სამეფო ქვეყანა დანაწილდა ოთხ-სამეფოდ და ამან ერთიან დაუძლურა სამეფო, აქ დროს აღძრულ აჯანყების გამო თვით გიორგიც კინაღამ არ შეიქმნა მსხვერპლი სისხლით შეხვრილი შეთქმულებისა. იგი დაიხსნა სიკვდილისაგან მხოლოდ ოთამ ზედგინისძის (თავ. ამილახვარის) პატიოსნებით სავსე თავ-დადებამ: შეიტყო რა მეფეს სიკვდილს უქადიანო, დაწვა მეფის სარეცელზე და ასო-ასო იქმნა აკაფული.

ამგვარა ოთხი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა: ბაგრატმა დაარსა იმერეთი, დავითმა—კახეთი, ერისთავმა ყვარყვარემ—სამცხე-სა თაბაგო და გიორგი დარჩა მეფედ მხოლოდ ერთის ქართლისა. ამავ დროსვე დამოუკიდებლობას ეძებდა ოთხი სამთავრო, რომელთაგან სვანეთსა და აფხაზეთს განაგებდნენ შერვაშიძის საგვარეულოს მთავარნი, ხოლო სამეგრელოს და გურიის მთავარნი შთამოიბდნენ მემკვიდრეობით დადიანებისა და გურიელების წოდებით და ესე წოდებანი სამუდამოდ გარდაექცათ კიდეც გვარად.

ამ დროიდგან საქართველოს მიწა შეიქმნა საერო თვით არსებობის დაცვის ასპარეზად-კი არა, მოედნად თურქთა და სპარსთა ბრძოლისა, რომელთაგან ყველა თავისაკენ ითლიდა საქართველოში ბატონობის გემრიელს ლუკმას. შიგნით ურთიერთ-შორის ბრძოლა და სისხლის ღვრა იყო და ერთმანეთის დამასუსტებელი ბრძოლა დრო-დროთი შესწყდებოდა მხოლოდ ან სპარსთა, ან ოსმალთა შემოსევით. ესენი წინანდელებს თავ განწირულს წინააღმდეგობას ველარა ჰპედავდნენ და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ აქაურობა. საქართველომ უფრო-და-უფრო ხშირად დაიწყო ცქერა რუსეთისაკენ და ამ ერის მფარველობისა და ქომაგობის ძებნა.

შემდეგში საქართველო სპარსთა და ოსმალთა ბრძოლის მუდმივი სადაო და საძიებელი იყო. ოსმალნი მოისწრაფოდნენ საქართველოში იმერეთის და შავი ზღვის ნაპირების მხრივ, სპარსნი კახეთისა და ქართლის მხრივ... ერთი შემოსევა მეორეს მოსდევდა. მაგ., 1518 წ. ტფილისი დაიპყრეს, ტაძარნი ააოხრეს, მეჩეთი აღაშენეს სპარსთა; 1578 წ. ესევე მოიქცნენ ოსმალნი, თან სპარსებს ებრძოდნენ და საქართველოდგან ერეკებოდნენ და სხვ. ამ უბედურებათა გარდა, ძველნი მტერნი, ლეკები, სარგებლობდნენ სამეფოს დაუძლურებით და თან-და-თან უფრო ხშირად ესეოდნენ ქვეყანას. ათი ათასი მთის უპოვარი მკვიდრი ყოველ წლივ ჩამოეშვებოდა ხოლმე ხეობებში და იკლებდნენ საქართველოს ორის მხრივ: ან ალაზანზედ გამოდიოდნენ სიღნაღის პირდაპირ და აოხრებდნენ კახეთს, ან განჯის მთებსა და ერევნის სამფლობელოზე გადადიოდნენ ახალციხეში და აქედგან იკლებდნენ ქართლსა და სომხეთს[4]).

მეფეთა შორის თუმცა ზოგიერთნი ძლიერნი და ბრწყინვალენიც იყვნენ, როგორც მაგალითებრ, კახ-ბატონი ლეონ I (1520—1574), რომელმაც თავის სამეფოს რამდენსამე წელიწადს მშვიდობიანობა მოუპოვა, გარნა ვერც ამათ დაიბრუნეს საქართველოს უკუღმა ბედი წაღმა და ულონონი იქმნენ განეთავისუფლებინათ ეს ქვეყანა მტერთა შემოსევისა და შინაურ არეულობათაგან.

ამ უბედურ დროს საქმეთა შორის ამაყად სდგას მხოლოდ საკვირველი მიზეზითაცა და შესრულებითაც საჯვაროსნო გალაშქრება დაცვისათვის ქრისტეს საფლავისა, ურწმუნოთა (შიების) ერთის ხელიდგან გამოეხსნა მეორის სასარგებლოდ (სუნებისა). ეს ლაშქრობა იყო 1524 წ. თურქთა სულთანის სოლიმანის თხოვნისა გამო, რომელმაც იერუსალიმში მიიწვია საქართველოს მეფენი, რომ გამოეხსნათ ქრისტეს საფლავი „ურწმუნოთა ხელიდან“. ურწმუნოებად ასახელებდა, რასაკვირველია, შიებს-სპარსებს; ქართველთა მატიანე მოგვითხრობს, რომ საჯვაროსნო გალაშქრებას ჰმეთაურობდა კახთ-ბატონი ლეონ I და მას ჰმომხრეობდნენ ქართლისა და იმერეთის მეფეებიცაო. ამ საჯვაროსნო ლაშქრობის ამბავი ეჭვს გარეშეა, რადგან გოლგოთაზედ (ჯვარის მონასტერში) მარმარილოს ქვას აწერია სახელი დიდის ლეონ მეფისა. მატიანე მოკლედ აღგვიწერს, რომ „საფლავი განთავისუფლდა და მეფენი აღმავსებელნი წმ. ადგილთა ყოვლითა შესაწირავითა, დიდის დიდებით მოიქცნენ სამეფოსა თვისსაო“.

საქართველოს სამეფოს განყოფამ და განაწილებამ იმდენი უბედურებანი მოიტანა, რომ ქართველი მეფეები იძულებულ იყვნენ რუსეთისათვის მიემართნათ. ჯერ კიდევ კახეთის მესამე მეფე ალექსანდრე I (1492—1511) ეძებდა რუსეთის შემწეობას იოანე მე-III დროს, რომელსაც უწოდებდა „იმედად ქრისტიანეთა და დაერდომილთა მისაყრდნობლად“. ასის წლის შემდეგ კახეთის მეფე ალექსანდრე მე-II (1574 1605), რომელსაც ეშინოდა ოსმალთა მომხრეობისათვის შურისძიება არ მოიპოვონ სპარსებმაო, საიდუმლოდ ჰგზავნიდა სასულიერო და საერო კაცთ მოსკოვში ცრემლით სათხოვნელად მეფე თეოდორე იოანეს ძესთან და სთხოვდნენ, მიეღო კახეთი და დაეხსნა ურწმუნოთაგან. „საშინელი დრო დადგა,—სწერდა ალექსანდრე მეფე—ქრისტიანობისათვის: ჩვენ, ერთ-სულნი ძმანი ქრისტეანეთა, ვკვნესით ბოროტ-მადიდებელთაგან; მხოლოდ შენ, გვირგვინოსანო მართლ-მადიდებლობისაო, ძალგიძს დაიხსნა ჩვენი სიცოცხლე და სული; თავს გიკრავ მიწამდე, ამიერიდგან შენნი ვართ უკუნითი უკუნისამდე“.

ალექსანდრე მე-II სთან ერთად გადავდივართ სპარსთა ხანაში, და დგება დიდი შაჰაბაზის დრო, რომელმაც მოაგონა საქართველოს დრონი ბათუსი და თემურლანგისა.

პ. ცხველოლი

26 თებერვალი 1891

[4]) წვრილ-წვრილი ლეკთა ბრბონი ქართლისაკენ ყოველთვის ერწო-თიანეთზე გადმოდიოდნენ საგურამოში და აქედგან არბევდნენ ახლო-მახლო სოფლებს. ზედაძენის მთა და სხ. ბიწმენდ-საგურამოს დავაკება არაგვისაკენ ბუდე იყო ლეკთა თარეშობისა.

პ. ცხვ.

ჭოლლანდიის ახალგაზდა დედოფალი დედასთან ერთად გააგის მასლობლად სეირნობდა და, რადგან დედოფალს უველაფერში ზომიერება უყვარს და სიზვიადეს არაოდეს არ გამოიჩენს, არავინ არ იახლა. ასე გასინჯეთ, ეტლი იმისი არაფრით არ განირჩევა სხვა ჩვეულებრივის ეტლისაგან. აი, ეტლი მიადგა ერთს სოფელს და დედოფალი ხედავს, რომ სკოლის შეგირდები თოვლის გუნდით გაცხარებული იბრძვიან. რასაკვირველია, დედოფალი ამის გამო არაფერს იტყოდა, მაგრამ რაკი ნახა, რომ პატარა ცელქებს თავი ვეღარ შეუკავებიათ და უბრალო თამაშობა ბრძოლად გადაექციათ, გამოვიდა ეტლიდამ და უბრძანა „გაჩერდითო“. შეგირდებმა არ იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე და დედოფალი „არა მკითხე მოამბედ“ მიიღეს; ერთმანეთს თავი დაანებეს და სამაგიეროდ დედოფალს დაუშინეს თოვლის გუნდი ისე, რომ მეეტლემ ძლივს მოასწრო გვირგვინოსანის გამოხსნა ცელქების ხელიდამ.

## დეპეშა

18 მარტი

**პეტერბურგი.** საილონიდამ მიღებული ოფიციალური დეპეშა გვაუწყებს, რომ 16 მარტს იქ მიბრძანდა მემკიდრე ცესარევიჩი, სადაც დიდის ამბით დაუხვდნენ გენერალ-გუბერნატორი, მთავრობის ყველა წარმომადგენელნი, ჯარი და სამხედრო ხომალდები.

**ბელგრადი.** სოფიას ყოველის მხრით დარაჯები არტყია. პოლიციელები და ჯარი დიდს ფაცი-ფუცშია. ქუჩებში ცხენოსანთა დარაჯნი არიან გაწესებულნი. ქალაქს გარედ გასვლა სასტიკად აკრძალულია. 310 კაცია დატყვევებული და მათ შორის კარაველოვი და მკურნალი ზაჩევიც. ის ამბავი, ვითომ სტამბულოვი დაჭრილიაო, ტყუილია. სტამბულოვი იქნება წევრი საგამომძიებლო კომისიისა და გამოძიებაში მონაწილეობას მიიღებს. თხოულობენ, რომ პრინცი ფერდინანდი დაუყონებლივ დაბრუნდეს ფილიპოპოლიდამ. ფიქრობენ, რომ შეთქმულობას ყოველგან აქვს ფესვი გადგმულიო. ელოდებიან, რომ შიშიანობის წესი იქმნება შემოღებულიო. მკვლელები ვერ აღმოუჩენიათ. გუმანი მაკედონელებზე აქვთ მიტანილი, რომელნიც იმუქრებოდნენ, რომ პანიცას სისხლი უნდა ავიღოთო. ზოგიერთები პროვინციაშიც დაატყვევეს.

**სოფია.** პოლიციამ ერთი კაცი შეიპყრო, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, ბალში ნაპოვნი რევოლვერი იყიდაო, მაგრამ ეს კაცი თავს დანაშაულად არა სთვლის.

19 მარტი

**მოსკოვი.** ოთხი მოსკოველი სოვდაგარი აარსებს რუსეთის ბამბოსნობის ამხანაგობას იმ აზრით, რომ სთესონ და სწმინდონ ბამბა, აძლიონ სესხად ფული ბამბის მომყვანთ და ჰყიდონ ბამბაცა და მის საკეთებელი მაშინებიცა. თავნი ფული 400,000 მ. აქვს ამხანაგობას და გაყოფილია 80 წილად.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტოს“ სწერენ დეპეშით საიგონიდამ 17/29 მარტის თარიღით, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი მიბრძანდა აქ 16 მარტს საღამოთი კრეისერით „Помятъ Азова“, რომელსაც ახლდა რუსეთის სამი სხვა კრეისერი. უფროსი საფრანგეთის ჯარებისა ამ შორეულს აღმოსავლეთის მხარეში კონტრ-ადმირალი ბეცარი, გენერალ-გუბერნატორი პიკე თავის კაბინეტის წევრებითურთ და ამხანაგი კოჩინჩონეთის გუბერნატორისა დენელი მიეგებნენ კრეისერს და მიულოცეს მობრძანება მის უმაღლესობას. მემკვიდრე ცესარევიჩი თითქმის მაშინვე გადმობრძანდა ხმელეთად და წაბრძანდა მთავრობის სასახლეში, საცა მის უმაღლესობისათვის დამზადებული იყო ბინა. გზაზე ჯარები იდგნენ მწკრივად და საიგონის ქალაქი შემკული იყო ბაირაღებით გუშინ გენერალ-გუბერნატორს დიდი წვეულება ჰქონდა, რომელზედაც გენერალ-გუბერნატორმა აღლევგრძელა ხელმწიფე იმპერატორი. მემკვიდრე ცესარევიჩმა დიდი მადლობა გადაუხადა გულ-უხვის მასპინძლობისათვის და მიირთვა სადღეგრძელო საფრანგეთისა და პრეზიდენტის კარნოსი. სადილთ უკან თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა იყო, რომლის შემდეგაც ჩირაღდნებით სიარული გაიმართა და ყოველივე ესე ბოლოს დასრულდა დიდის დღესასწაულობით, რომელიც გამართა ქალაქის გამგეობამ. 17 მარტს დანიშნულია აღლუმი ჯარისა და ბალი გენერალ-გუბერნატორის სახლში. 18 მარტს მემკვიდრე ცესარევიჩი წაბრძანდება დიდს ბალში, რომელსაც ჰმართავენ აფიცრები ჯარისა და ფლოტასა „ლოირეს“ გემში. სამშაბათს დანიშნულია დიდი ნადირობა საიგონის არე-მარეში. როცა მემკვიდრე ცესარევიჩი დაბრუნდება ნადირობიდამ, რუსეთის ესკადრაც გაუდგება გზას. ფრანგებმა და აქაურმა ხალხმა დიდის ამბით მიიღო მისი უმაღლესობა.

პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი.

| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 74 | 6 76 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | $134^{3}/_{4}$ | $135^{1}/_{4}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 06 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | $237^{1}/_{2}$ |
| —მეორისა | — „ | — „ | $222^{1}/_{2}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | — „ | — „ | $216^{1}/_{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 102 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 102 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ხდომის საზოგადოებისა | — „ | 99 „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . . | „ | 25 |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . . | „ | 80 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით. . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 2) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . | „ | 75 |
| 3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . | „ | 80 |
| 4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . | 1 | 25 |
| 5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . | „ | 15 |
| 6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . | „ | 25 |
| 7) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| 8) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . . | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . | „ | 40 |
| 10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . | „ | 30 |
| 11) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . | „ | 15 |
| 12) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| 13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . . | „ | 50 |
| 14) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| 15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . | „ | 60 |
| 16) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . | „ | 15 |
| 17) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. | 1 | „ |
| 18) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . | 3 | 50 |
| 19) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . | „ | 75 |
| 20) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . | „ | 80 |
| 21) იგივე უყდო . . . . . . . . . . . . | „ | 60 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . | „ | 70 |
| 23) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . | „ | 20 |
| 25) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 26) „იავნანამ რაჰქნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 10 |
| 27) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . | „ | 20 |
| 28) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| 29) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . . | „ | 5 |
| 30) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

*Тифлисъ.* Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“

Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.